

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო არომატული) - 010158
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მცენარეების დამამზადებელის საქმიანობა მიეკუთვნება აგრარული მიმართულების სფეროს. ეს პროფესია ორიენტირებულია ძირითადი სამკურნალო-არომატული მცენარეების, მცენარეთა ნედლეულის დამზადებაზე და შესაბამისი ტექნოლოგიის ათვისებაზე.

II. დასაქმების სფერო

სხვადასხვა სახის აგროფირმები; წამალთმცოდნეობის სხვადასხვა სფეროს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებები, აგრეთვე შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და დაწესებულებები.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მცენარეების დამამზადებელის პროფესიული განათლება არის ერთ საფეხურიანი (III), რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი.

მცენარეების დამამზადებელის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 35 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

IV. მცენარეების დამამზადებლის კვალიფიკაციის აღმწერი

მცენარეების დამამზადებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის სამკურნალო მცენარეების სპეციალური დისციპლინები: ხალხური მედიცინა ზოგადად და იცნობს საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო-არომატულ მცენარეებს. იცის მათი გავრცელების არეალი, ველურად მზარდი მცენარეებისგან ნედლეულის შეგროვების ვადების დადგენა, წესები. მათი ბოტანიკურ-მორფოლოგიური აგებულება, კლასიფიკაცია, მოთხოვნა გარემოპირობების მიმართ, კულტივირება. კულტივირებული და ველურადმზარდი მცენარეების მოვლა, აგროწესები. სამრეწველო პლანტაციების გაშენების წესი: ნაკვეთის შერჩევა, ნიადაგის დამუშავება, თესვა, მოვლა, ნედლეულის აღების ვადების დადგენა და მისი შეგროვება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მოდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია სამკურნალო-არომატულ მცენარეთა ცნობა, კონდიციონირებული, მაღალმოსავლიანი თესლის შეგროვება და დამზადება: თესლის დახარისხება, წუნდება, შრობა, შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება, შენახვა. ამავე დროს მისი ვეგეტაციური ნაწილების სწორად შეგროვება, შრობა, შეფუთვა, მარკირება, ტრანსპორტირება და შენახვა. შენახვისათვის ადგილის შერჩევა, ტემპერატურის რეგულირება, განიავება და კონტროლი. შეუძლია საზოგადოებრივ ან კერძო-ფერმერულ მეურნეობებში სწორად დაგეგმოს ნედლეულის წარმოება და პირველადი გადამუშავება, მცენარის გამრავლება, მოვლა-მოყვანა, სამრეწველო პლანტაციის გაშენება. ასევე ნედლეულის დამზადების უახლეს ტექნოლოგიების გამოყენება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე გამოიტანოს სწორი დასკვნები პროდუქციის ვარგისიანობაზე. წარმოქმნილი პრობლემები გააანალიზოს და საკითხის გადასაწყვეტად შეიმუშავოს შესაბამისი</p>

		მიდგომა, რომელსაც შემდგომ სამუშაოებში გაითვალისწინებს. შეუძლია სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის, მასალის და ღირებულების განსაზღვრა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია სამკურნალო და არომატულ მცენარეებზე, მათ სახეობებსა და ნაირსახეობებზე დეტალური ინფორმაციის მომზადება, ხელმძღვანელთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტაციის წარმოება, ინფორმაციის მიწოდება უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები. დამოუკიდებლად მოიპოვოს ინფორმაცია, დაამუშავოს და გამოიყენოს საჭიროებისამებრ.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	აცნობიერებს პროფესიითვის სპეციფიკური უსაფრთხოების წესების მნიშვნელობას, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. იცის კოლეგებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები და მოქმედებს მათ შესატყვისად.